დამტკიცებულია 2012 წლის 24 აგვისტოს 03-837 ბრძანებით

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

წინამდებარე წესი ადგენს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში(შემდგომში ,,უნივერსიტეტი“) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის პირობებს, აგრეთვე პროფესიული სტუდენტის ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხას.

მუხლი 2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღება

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღებას აცხადებს შემოდგომის ან/და გაზაფხულის სემესტრისათვის.

მუხლი 3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლება

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შეიძლება ჩაირიცხოს პირი, რომელიც აკმაყოფილებს კანონმდებლობითა და შესაბამისი პროფესიული პროგრამით განსაზღვრულ წინაპირობებს.

2. პროფესიული განათლების თითოეული საფეხურის გავლის საფუძველია წინა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ათვისება ან წინა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარება.

3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის III საფეხურის არარსებობისას პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მოპოვება ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტის შედეგებისა და პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული წინაპირობების დაკმაყოფილების საფუძველზე.

მუხლი 4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის პირობები

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღება ცხადდება უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც ადგენს ამ წესის მე-4 მუხლით განსაზღვრული დოკუმენტების მიღებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული წინაპირობების (არსებობის შემთხვევაში) დაკმაყოფილების ვადებს და ქვეყნდება საჯაროდ, დაწესებულების ვებგვერდისა და საინფორმაციო ცენტრის მეშვეობით.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა ხდება დოკუმენტების განხილვისა და მასზე დაშვების წინაპირობებთან პირის შესაბამისობის განსაზღვრის საფუძველზე.

3. პროფესიული განათლების III საფეხურის პროგრამებზე ჩარიცხვისას კონკურსანტის უპირატესობის განსასაზღვრად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ითვალისწინებს წინა საფეხურის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის

ცალკეულ კომპონენტებში მიღებულ შეფასებებს, ხოლო IV და V საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა კი ხდება ზოგადი უნარების ტესტების შედეგების უპირატესობის მიხედვითა და პროგრამით გათვალისწინებული წინაპირობის დაცვით.

მუხლი 5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტები

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნივერსიტეტში უნდა წარადგინოს:

ა) პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში – წარმომადგენლის) განცხადება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) III საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში - საბაზო საფეხურის ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ხოლო IV ან V საფეხურის პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში - სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის ასლი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დაძლევის გარეშე;

დ) წინა საფეხურის არსებობის შემთხვევაში, მომდევნო საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის - წინა საფეხურის პროფესიული დიპლომი ან მასთან გათანაბრებული სხვა დოკუმენტი, არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი ან ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების გამოცდის სერტიფიკატი;

ე) მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში – ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების გამოცდის სერტიფიკატი.

ვ) პროგრამის წინაპირობებით გათვალისწინებული დამატებითი ინფორმაცია (არსებობის შემთხვევაში).

2. პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის დეკანი უნივერსიტეტის რექტორს შესაბამისი სემესტრის დაწყებამდე წარუდგენს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების იმ მსურველთა სიას, რომლებმაც გააფორმეს ხელშეკრულება უნივერსიტეტთან.

3. ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე, უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს პირის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ.

4. რექტორის აქტის გამოცემიდან 3 დღის ვადაში ხდება საინფორმაციო ცენტრის ინფორმირება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ.